საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 20 0001243371

30/12/2020

"სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგარემის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1038166 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა დასაქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. "სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგარემის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1038166 გადაწყვეტილების დასახელებაში, აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთების 2.1 და 2.2 პუნქტებში, სარეზოლუციო ნაწილის პირველ და მეორე პუნქტებში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1.1. გადაწყვეტილების დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაეროხომალდებისტექნიკურიექსპლუატაციის"სადოქტორო საგანმანათლებლოპროგრამისაკრედიტაციისშესახებ";**

1.2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთების 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „2.1. 2020 წლის 3 თებერვალს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა N 65/20 (ცენტრში რეგისტრაციის N120707) სააკრედიტაციო განაცხადი „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისათვის."

1.3. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთების 2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 27 თებერვლის N252450 ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 16 ივლისის N608796 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 24 სექტემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:"

1.4. სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის 2020 წლის 3 თებერვლის N120707 სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.“;

1.5 . სარეზოლუციო ნაწილის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია და ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).“

2.საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 დეკემბრის N1242176 სხდომის ოქმის N11 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 241მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, No6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ტუფინაშვილი თამარ